ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი #2

ქ. ონი 26 იანვარი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თორნიკე მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, ემზარ საბანაძე, ფრიდონ გოგრიჭიანი, თამილა არჩვაძე.

არ ესწრებოდნენ: თამაზ მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1.ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ,,დედამიწის მეგობრების“ ერთობლივი კონკურსის ,,სუფთა რეგიონი 2021“ შესახებ.

 მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი ,,სწრაფი რეაგირების მექანიზმის“ შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

4. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს : 1. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი სამუშაო გეგმა.

მოისმინეს : 2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ,,დედამიწის მეგობრების" ერთობლივი კონკურსის ,,სუფთა რეგიონი 2021" შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული კონკურსის პირობები.

მოისმინეს : 3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი ,,სწრაფი რეაგირების მექანიზმის" შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი ,,სწრაფი რეაგირების მექანიზმის" შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური მომხსენებლის დანიშვნას და გარემოს დაცვის თემატიკაზე მომუშავე პირების დაცვას დასჯისგან, დევნისგან და რაიმე ფორმით შევიწროებისგან.

მოისმინეს : 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

ლ. ორდინიძემ სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები აუნაზღაურდება თვეში არაუმეტეს 600 ლარისა საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობისა და ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე